თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 49

18 აგვისტო 2018 წ.

ქ. თელავი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობით 2013 წლის 07 თებერვლის N23 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის წარსადგენად, მოწონებულ იქნეს, თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის საპროექტო წინადადებები დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N41).

საკრებულოს თავმჯდომარე

არჩილი თხლაშიძე

<u>დანართი</u>

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის წარსადგენი

თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის საპროექტო წინადადებები

N	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	2018 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	პროექტის კატეგორია	*რეგ. ფონდი*			ბენეფიციარი	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	ექსპერტიზა	შენიშვნა
					ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	*რეგ. ფონდი*	*სულ*				
1	2	3	4	5	6	7	8	9	11	12	13
1	კახეთი	თელავი	თელავის ა.(ა).ი.პ. კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება "ნადიკვრი" -ს ამფითეატრის კონსტრუქციებისა და ტენტის მოწყობა	კულტურა და სპორტი	21000	399000	420000	40,000	კი	არ არის	
2	კახეთი	თელავი	სოფელ წინანდალში ,,ნათლისმცემელი''-ს ეკლესიისკენ მიმავალი გზა	გზები	10750	204250	215000	4,000	კი	არის	
3	კახეთი	თელავი	ქალაქ თელავში, ყადორის ქუჩის რეაბილიტაცია	გზები	8790	167010	175800.0	700	კი	არ არის	

4	კახეთი	თელავი	ქალაქ თელავში, ერისთავის ქუჩის რეაბილიტაცია	გზები	17020	323380	340400	1,500	არა	არ არის	
					57,560.0	1,093,640.0	1,151,200.0				

საკრებულოს თავმჯდომარე

არჩილი თხლაშიძე